# გამრიცხველიანებული არაპროფილური მომხმარებლისთვის, ტბორისთვის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით მომსახურების ხელშეკრულება №: ___-__

___/___/______

**მიმწოდებელი:**

დასახელება (მიმწოდებელი): შპს „საქართველოს მელიორაცია“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204524568
რეგიონი:
სერვის ცენტრი:
წარმომადგენლის თანამდებობა: სერვის ცენტრის უფროსი
წარმომადგენლის სახელი და გვარი:

**მომხმარებელი:**

დასახელება:
საიდენტიფიკაციო ნომერი:
ტელეფონის ნომერი:
ელ.ფოსტა:
მისამართი:

**გადახდაზე პასუხისმგებელი პირი არის მომხმარებელი:** კი ☐ არა ☐**ასევე ივსება, თუ მომხმარებელი და გადახდაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა პირები არიან:**

დასახელება:
საიდენტიფიკაციო ნომერი:
ტელეფონის ნომერი:
ელ.ფოსტა:
მისამართი:
ხელშეკრულებაზე თანდართულია გადახდაზე პასუხისმგებელი პირის წერილობითი ან ელექტრონული თანხმობა (დანართი N3) - კი ☐.

**მომსახურება და მომარაგების პირობები:**

წყლის მიწოდების მომსახურების დაწყების თარიღი ___/___/______
უძრავი ქონება სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგება:
მისამართი
საკადასტრო კოდი
ან
მდებარეობის აღწერა
GPS კოორდინატები [1]
საირიგაციო სისტემის მიწოდების წერტილი:
დასახელება
მდებარეობა
GPS კოორდინატები [1]

**ტბორ(ებ)ის ტექნიკური მახასიათებლები:**

ტბორ(ებ)ის სარკისებრი ზედაპირის ჯამური ფართობი: ჰა
ტბორ(ებ)ის საშუალო სიღრმე: მ
ტბორ(ებ)ის წყლის ტევადობის ჯამური მოცულობა: $მ^3$

ტბორ(ებ)ის ფსკერი მოპირკეთებულია საიზოლაციო მასალით კი ☐ არა ☐

[1] ველი ივსება სურვილის შემთხვევაში

**მხარეთა ვალდებულებები:**

1 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ურთიერთობა აწარმოონ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2023 წლის 30 აგვისტოს №39 დადგენილებით დამტკიცებული „საირიგაციო წყლის მიწოდების წესებითა“ (შემდგომში - წესები) და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

2 კომისიის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევაზე შესაბამისი ტარიფის დადგენამდე, მომხმარებელი ვალდებულია, ტბორის წყლით მომარაგების მიზნით მოხმარებულ წყალზე, საირიგაციო წყლის მიწოდების მომსახურების საფასური გადაიხადოს ყოველ 1მ$^3$ წყალზე ___ ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით).

3 მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებული მოხმარებული წყლის ფასის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს წესებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, აღნიშნულის შესახებ მომხმარებლის ერთი თვით ადრე მაინც შეტყობინების შემდეგ.

4 მომხმარებელი წყალს მოიხმარს არასაირიგაციო დანიშნულებით, ტბორისთვის წყლის მიწოდების მიზნით.

5 მიმწოდებელი ვალდებულია საირიგაციო სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს წყლის უსაფრთხო, უწყვეტი, საიმედო და ხარისხიანი მიწოდება წესებისა და მის შესაბამისად დადებული ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

6 წესების შესაბამისად, მომხმარებელი ვალდებულია, წყალი მოიხმაროს რაციონალურად, წინასწარ შეთანხმებული წყალმომარაგების განრიგისა და ტბორის ნორმალური ექსპლუატაციისას წყლის მოხმარების ნორმის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია სამართლებრივი აქტით, ხოლო ასეთი აქტის არ არსებობის შემთხვევაში - ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში მიმწოდებლის მიერ მის ოფიციალურ ვებგვერდზე, საჯაროდ გამოცხადებული მეთოდის მიხედვით, გამოცხადების თარიღისა და შერჩეული მეთოდის წყაროს მითითებით.[2]

7 წესების შესაბამისად, მომხმარებელი ვალდებულია დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური მიმწოდებლის მიერ მითითებული საბანკო ანგარიშებზე, გადასახდელი თანხის ანგარიშსწორების ქვითარში სრულად ასახვისა და გადახდის ვადის განსაზღვრის შემდეგ.

**ხელშეკრულების დანართ(ებ)ი:**

- ☐ დანართი N1 — წყალსარგებლობის განრიგი
- ☐ დანართი N2 — ტბორის ნორმალური ექსპლუატაციისას წყლის მოხმარების ნორმის განსაზღვრის პირობა (სურვილის შემთხვევაში)

| **შპს „საქართველოს მელიორაციის“ (მიმწოდებლის) წარმომადგენელი** | | **მომხმარებელი ან მისი წარმომადგენელი** | |
|---|---|---|---|
| სახელი, გვარი | ........................ | სახელი, გვარი | ........................ |
| ხელმოწერა | ........................ | ხელმოწერა | ........................ |

[2] ამასთან, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს ტბორის ნორმალური ექსპლუატაციისას წყლის მოხმარების ნორმის ამ ხელშეკრულებაზე დანართის სახით თან დართვა.